

ანტიკური ლიტერატურა

ანტიკური ლიტერატურის ისტორიის პირველი  
„სახელმძღვანელო“ კვინტილიანუსისგან

ნინო ჩიხლაძე

აპაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო  
ninochikhladze55@gmail.com

მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი (ახ. წ. 35-96) ანტიკურობის ერთ-ერთი საინტერესო მწერალი, პედაგოგი, ორატორი და ადვოკატია. მისი „მჭევრმეტყველების სწავლება“ (Institutio Oratoria) ლათინურ ენაზე დაწერილი, 12 თავისგან შემდგარი წიგნია, რომელშიც ავტორი გვთავაზობს თეორიულ კვლევებსა და პრაქტიკულ რჩევებს მჭევრმეტყველების, კარგი ორატორის, ზოგადად, კარგი ადამიანის აღზრდის შესახებ, რადგანაც, კვინტილიანუსის აზრით, შეუძლებელია იყო კარგი ორატორი, თუ არ იქნები კარგი ადამიანი - *vir bonus dicendi peritus* (12,1,3). კვინტილიანუსის ნაშრომი ქართულ ენაზე არ არის ნათარგმნი. მას არ იცნობს ქართული საზოგადოება, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ნაშრომის თარგმნა, რომ ამ საკითხებით დაინტერესებული ქართველი მკითხველისათვის მშობლიურ ენაზე ხელმისაწვდომი გაგვხადო კვინტილიანუსის საინტერესო რჩევები და მოსაზრებები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა. წარმოდგენილი ნაწყვეტი, გარკვეულწილად, ანტიკური ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ პირველ „სახელმძღვანელოდ“ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან კვინტილიანუსი 110-მდე ბერძენ და რომაელ ავტორის შემოქმედებას გვაცნობს.

**საკვანძო სიტყვები:** კვინტილიანუსი, თარგმანი, ანტიკური ლიტერატურის ისტორია.

კვინტილიანუსი (ახ. წ. 35-96) ანტიკურობის ერთ-ერთი საინტერესო პედაგოგი, ორატორი და ადვოკატია. მისი „მჭევრმეტყველების სწავლება“ (Institutio oratoria) ლათინურ ენაზე დაწერილი, 12 თავისგან შემდგარი წიგნია, რომელშიც ავტორი გვთავაზობს თეორიულ კვლევებსა და პრაქტიკულ რჩევებს მჭევრმეტყველების, კარგი ორატორის, ზოგადად, კარგი ადამიანის აღზრდის შესახებ, რადგანაც, კვინტილიანუსის აზრით, შეუძლებელია იყო კარგი ორატორი, თუ არ იქნები კარგი ადამიანი - *vir bonus dicendi peritus* (Quint. Inst.orat.12,1,3).

კვინტილიანუსის ნაშრომი ქართულ ენაზე არ არის ნათარგმნი. მას არ იცნობს ქართული საზოგადოება, ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ნაშრომის თარგმნა, რომ ამ საკითხებით დაინტერესებული ქართველი მკითხველისათვის მშობლიურ ენაზე ხელმისაწვდომი გაგვხადო

## 6. ჩიხლაძე

---

კვინტილიანუსის საინტერესო რჩევები და მოსაზრებები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა (მიმოხილვისთვის იხ. (Dozier 2020; Clarke 1996; Laing 2020)). წარმოდგენილი ნაწყვეტი ლიტერატურული კრიტიკის, ანტიკური ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ პირველ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან 110-მდე ბერძენი და რომაელი ავტორია დასახელებული და შეფასებული.

კვინტილიანუსი ერთმანეთს ადარებს ბერძენ და რომაელ ავტორებს, ეძებს მათში არა ქრონოლოგიურ, არამედ „შინაგან მსგავსებას“, ალაგებს მასალას ჟანრებისა და ეპოქების მიხედვით, რამდენიმე წინადადებაში ახერხებს არა მხოლოდ მთავარი სათქმელი, - რითი არის ესა თუ ის ავტორი რიტორიკის შესწავლის მიზნით საინტერესო, - თქვას, არამედ, ზოგადად, სწორი წარმოდგენა შექმნას ავტორებზე და თითოეულ მათგანს მისი კუთვნილი ადგილი მიუჩინოს, რა თქმა უნდა, საკუთარი ღირსებებისა და დამსახურებების მიხედვით, ლიტერატურის ისტორიაში. ამა თუ იმ ავტორის შემოქმედების სულ რამდენიმე წინადადებიანი შეფასება რომაელ ავტორთან განუზომლად ტევადი, ზუსტი და მრავლისმთქმელია (Fantham 2011:67).

კვინტილიანუსი ამჟღავნებს ლიტერატურის კარგ ცოდნას და ხედვას, კრიტიკულ აზროვნებას, ესთეტიკურ და ლიტერატურულ გემოვნებას კლასიკური და ალექსანდრიული ეპოქის ავტორების წარმოჩენისას (Morgan 1998: 203); იგი ავტორებს არჩევს პრინციპით - მომავალმა ორატორმა, საუკეთესო ორატორად აღსაზრდელად, წერის, კითხვისა და საუბრის ოსტატობის მისაღწევად, აუცილებლად რომელი და რა რაოდენობით ავტორი უნდა წაიკითხოს, მაგრამ მიაჩნია, რომ მაინც ხარისხია წიგნების კითხვისას უფრო მნიშვნელოვანი და არა - წაკითხული წიგნების რაოდენობა.

წინამდებარე ნაწყვეტი იმითაც არის საინტერესო, რომ კვინტილიანუსი ბერძენ და რომაელ ავტორთა შეფასებისას ცდილობს იყოს ობიექტური; ყოველთვის აღნიშნავს ბერძენთა განსაკუთრებულ თვისებებს და დამსახურებებს, გადაჭარბებული მოხიზვლის გარეშე თავის ადგილს მიუჩენს რომაელ ავტორებს, მაგრამ თუ ამის აუცილებლობას გრძნობს, შეუძლია იყოს რომაელი, ძველი თუ მისი თანამედროვე, ავტორებითაც აღფრთოვანებული და სიამაყით განაცხადოს: „ჩვენ არ ჩამოვრჩებით ბერძნებს“, ან ზოგჯერ ამტკიცოს: „ჩვენ ბერძნებზე ძლიერები ვართ“.

კვინტილიანუსი რამდენიმე ნაკლებად ცნობილ, ან სრულიად უცნობ ავტორზე გვაწვდის ინფორმაციას დასაკმაოდ დაზიანებულად მოღწეულ ანტიკურ ლიტერატურაზე ჩვენს ცოდნას რამდენიმე უცნობი ავტორით ამდიდრებს (შდრ.: Bonner 1977:24; Kennedy 1972:48; Murray 1991:124-126)) . მათი შესწავლა შეიძლება მომავალი კვლევის საგნად იქცეს. ბევრ ავტორს იგი თავად იცნობდა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, „მჭევრმეტყველების სწავლების“

მეათე თავი ანტიკური ლიტერატურის ანტიკური ლიტერატურის სტორიის ერთ-ერთი ყველაზე პირველი სახელმძღვანელოა.

მაქსიმალურად ვცდილობდით, ტექსტის ორიგინალთან სიზუსტე შეგვენარჩუნებინა. გარკვეულ სიტუაციაში კი, ვამჯობინებდით, ტექსტი ქართულად ყოფილიყო უფრო გამართული და სიზუსტისათვის კითხვის სილაღე არ შეგვეწირა - თავად კვინტილიანუსის თარგმანისადმი დამოკიდებულება გვიბიძგებდა ამისკენ: „მე არ მინდა, რომ თარგმანი იყოს უბრალოდ თარგმანი, - აუცილებელია მოვაწყოთ გარკვეული სახის შეჯიბრი თუ მეტოქეობა ერთი და იმავე აზრის გადმოცემაში. აი, რატომ არ ვიზიარებ მათ შეხედულებებს, ვინც არ ეთანხმება ლათინური პროზის პერიფრაზს, იმ მიზეზით, რომ ეს უპირობოდ მიგვიყვანს ცუდ შედეგებამდე ორიგინალთან შედარებით...არ უნდა ვიდარდოთ უკვე თქმულის უკეთესი ფრაზის ძიებისას, ლათინური ორატორული ენა არც ისე სუსტი და ღარიბია, რომ ერთი აზრის გამოხატვა წარმატებით მხოლოდ ერთნაირად შეიძლებოდეს“ (Quint. Inst. orat 10,3,7), მაგრამ არც ის გვაფიქვამდა, რომ წინამდებარე ტექსტს კლასიკური ფილოლოგიის, ლათინური ენის შესწავლით დაინტერესებული სტუდენტებისათვის მაქსიმალურად ზუსტი წარმოდგენა უნდა შეექმნა ორიგინალზე.

### ლიტერატურა

- Bonner, Stanley F. 1977. *Education in Ancient Rome: From the elder Cato to the younger Pliny*. London: Methuen & Company, Ltd.
- Clarke, M.L. 1996. *Rhetoric at Rome: A Historical Survey*. New York: Routledge.
- Dozier, Curtis Andrew. "Poetry, Politics, and Pleasure in Quintilian." *Aesthetic Value in Classical Antiquity*. 345–363.
- Fantham, Elaine. 2011. *Roman Readings: Roman Response to Greek Literature from Plautus to Statius and Quintilian*. New York.
- Kennedy, George Alexander. 1972. *The Art of Rhetoric in the Roman World 300 B.C.–A.D. 300*. Princeton, NJ: Princeton University Press.
- Laing, Gordon J. 2020. *Quintilian, the Schoolmaster*. *The Classical Journal* 15.9, 2020.
- Leitch, Vincent B., Ed. 2001. *The Norton Anthology of Theory and Criticism*. New York: W.W. Norton & Company, Inc.
- Morgan, Teresa. 1998. *Literate Education in the Hellenistic and Roman Worlds*. Cambridge, UK: Cambridge University Press.
- Murray, Oswyn, John Boardman, and Jasper Griffin, Eds. 1991. *The Oxford History of the Roman World*. New York: Oxford University Press.
- Quintilianus, Marcus Fabius. 1920. *Institutio Oratoria*, translated by H.E. Butler. Loeb Classical Library. Cambridge: Harvard University press.

## Classics

### The First "Textbook" of History of Ancient Literature from Quintilian

**Nino Chikhladze**

Akaki Tsereteli State University  
Kutaisi, Georgia  
ninochikhladze55@gmail.com

*Marcus Fabius Quintilianus (35-96 AD) is one of the most interesting writer, teacher, orator and advocate of antiquity. His Institutio oratoria is a 12-volume book written in Latin, in which the author offers theoretical research and practical advice on raising a good orator, a good man in general, because, according to Quintilianus, it was impossible to be a good orator if you will not be a good person - vir bonus dicendi peritus (12,1,3). Quintilianus' work has not been translated into Georgian yet. He is not familiar for Georgian society, so we considered it expedient to translate the work in order to make Quintilianus' interesting tips and opinions available for Georgian readers interested in these issues, which have not lost their relevance even today. This passage can be considered, to some extent, one of the first "textbooks" in the history of ancient literature, as Quintilianus informs us about 110 Greek and Roman authors.*

**Keywords:** Quintilianus, translation, history of ancient literature.

Marcus Fabius Quintilianus (35-96 AD) is one of the most interesting writer, teacher, orator and advocate of antiquity. His Institutio oratoria is a 12-volume book written in Latin, in which the author offers theoretical research and practical advice on raising a good orator, a good man in general, because, according to Quintilianus, it was impossible to be a good orator if you will not be a good person - vir bonus dicendi peritus (12,1,3).

Quintilianus' work has not been translated into Georgian yet. He is not familiar for Georgian society, so we considered it expedient to translate the work in order to make Quintilianus' interesting tips and opinions available for Georgian readers interested in these issues, which have not lost their relevance even today. This passage can be considered, to some extent, one of the first "textbooks" in the history of ancient literature, as Quintilianus informs us about 110 Greek and Roman authors.

Quintilianus compares Greek and Roman authors, seeks in them not chronological but "internal similarities", sorts the material by genres and epochs, manages to say not only the main point in several sentences - what is interesting about this or that author for the study of rhetoric, but also, In general, to form a correct conception of

the authors and to give to each of them its rightful place, of course, according to their own merits in the history of ancient Quintilianus displays a good knowledge and vision of literature, critical thinking, aesthetic and literary taste in presenting authors of the classical and Alexandrian eras. He chooses the authors by the principle that the future orator, in order to be the best orator, to achieve writing, reading and speaking skills, must know which and how many authors to read, but he believes that quality is more important than reading books and not the number of books read.

Quintilianus tries to be objective in his assessment of the Greek and Roman authors; Always mentions the special qualities and merits of the Greeks, gives his place to the Roman authors without undue fascination, but if he feels the need to do so, he may proudly declare: *We are stronger than the Greeks*.

We tried our best to maintain accuracy with the original text. In some cases, we would have preferred the text to be read more fluently in Georgian and not to have sacrificed reading speed for accuracy - Quintilianus' attitude towards translation pushed us to do this: "I do not want translation to be just translation. This is why I do not share the views of those who do not agree with the periphrasis of Latin prose, for the reason that it unconditionally leads to bad results compared to the original ... We should not despair in searching for a better phrase already spoken, Latin is not so weak and poor that one thinks that its expression can only be successful once" (10,3,7), but he did not forget either, that the present text should provide the most accurate representation of the original for students interested in studying classical philology generally and Latin language.

დანართი

**MARCUS FABIVS QVINTILIANVS**

INSTITVTIO ORATORIA

მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი

მჭევრმეტყველების სწავლება

(ნაწყვეტი)

ლათინურიდან თარგმნა

ნინო ჩიხლაძემ

შევხედი საკითხს, რომელი ავტორები უნდა იკითხოთ იმ პირებმა, რომელთაც სურთ მჭევრმეტყველებაში რაიმე ახალი ისწავლონ და ახალი ჩვევები შეიძინონ.

ვაპირებ შევჩერდე მხოლოდ რამდენიმე, ყველაზე საუკეთესო ავტორზე. ყურადღებიან მკითხველს შეუძლია იმათზეც იმსჯელოს, ვინც მასთან უფრო

## მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი

---

ახლოსაა, რომ არავის დასწყდეს გული, თუ მხედველობიდან გამომრჩება ვინმეს საყვარელი ავტორი: ვაღიარებ, იმაზე გაცილებით მეტი უნდა ვიკითხოთ, ვიდრე მე დავასახელებ. ახლა კი ვაპირებ ვისაუბრო კითხვის სხვადასხვა სახეობებზე, რა თქმა უნდა, აუცილებელზე, ჩემი აზრით, იმ პირთათვის, ვინც ორატორის პროფესია აირჩია.

ასე რომ, თუ არატე თვლის, დაიწყოს „იუპიტერით“, მგონია, ჩვენ უნდა დავიწყოთ ჰომეროსით. როგორც მდინარეები დაწყაროები, - მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, იღებენ სათავეს ოკეანეში, ასევე თვითონაც გვევლინება ეტალონად და მჭევრმეტყველების სათავედ. ის მიუღწეველია მაშინაც, როცა სერიოზულ საგნებზე სადღესასწაულო ამადლებული ტონით ლაპარაკობს და მაშინაც, როცა ჩვეულებრივი ტონით დეტალებზე და წვრილმანებზე საუბრობს. ერთდროულად, იგი დახვეწილიც არის და უბრალოც, სერიოზულიც და ხუმარაც, ერთნაირად გვაოცებს მრავალსიტყვაობითაც და სისხარტითაც, გვაოცებს არა მხოლოდ როგორც უმაღლესი დონის პოეტი, არამედ, ასევე, როგორც ორატორი.

მე სიტყვაც რომ არ მეთქვა იმაზე, როგორ აქებს ჰომეროსი ვინმეს, რჩევას აძლევს, ან აწყენარებს, განა არ გვხვდება დიალექტიკის ყველა ნიუანსი, რომელსაც ადგილი აქვს პროცესებზე, ან სახალხო შეკრებებზე, მაგალითად, ილიადას მეცხრე წიგნში, სადაც საუბარია აქილევსთან ელჩობაზე, ან პირველ წიგნში, სადაც აღწერილია წინამძღოლების დავა, ან მეორეში, სადაც პოეტი საკუთარ მოსაზრებას გამოხატავს სამართლიანობისა და საბჭოების შესახებ?

რაც შეეხება გრძნობებს, მოიძებნება ისეთი ვინმე, ვინც არ აღიარებს, რომ ჩვენი ავტორი მათ სრულად აკონტროლებს და ფლობს ოსტატობას - იმოქმედოს სულზე ან დამამშვიდებლად, ან აღმგზნებლად? განა მან თავის ორსავე პოემაში (ილიადა, ოდისეა) არ მოგვცა ორატორული ხელოვნების კლასიკური მაგალითი და არ აქცია ის წესად? მიმართავს რა იმ ქალღმერთებს, ვინც პოეტების მფარველად ითვლება, იგი განაწყობს მკითხველს სათავისოდ; ხატავს რა მის წინაშე დიდებულ სურათებს, ყავს იგი (მკითხველი, მსმენელი) დამაბული, სულ რამდენიმე სიტყვით გამოხატავს მთავარ აზრს, - უხსნის მას ყველაფერს დეტალურად.

შეეძლო ვინმეს უფრო მოკლედ აღეწერა პატროკლოსის სიკვდილი და კურეტების ბრძოლა ეტოლიელებთან? რაც შეეხება შედარებებს, მაგალითებს, ეპიზოდებს, მტკიცებულებებს, უარყოფებს და სხვაგვარ ფორმულებს, ისინი ისე ბევრია, რომ თავად რიტორიკის ავტორები, რომლებიც მჭევრმეტყველების წესებს ადგენენ, უამრავ მაგალითს იღებენ ჰომეროსისგან ამ წესების საილუსტრაციოდ.

რომელი სიტყვა შეედრება პრიამოსის ვედრებას აქილევსისადმი, როცა იგი თხოვნით მიმართავს პელიადს, მკვდარი შვილის გვამი გაატანოს?

და რა ვთქვით ცალკეულ სიტყვებზე, აზრებზე, პერსონაჟებზე ან მთელი ნაწარმოების კონსტრუქციაზე? - განა იგი არ სცილდება ადამიანის გენიის საზღვრებს? დიდი ნიჭია საჭირო, რომ არა თუ მიზანმიმართულად, არამედ აღიქვას იგი სრულყოფილად.

მან, რა თქმა უნდა, ყველა ავტორი უკან მოიტოვა მჭევრმეტყველების ყველა სახეობაში, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავი არიან ეპიკოსები, რაც თავისთავად გასაგებია, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ მსგავსთან შედარებაა.

ჰესიოდე იშვიათადაა საზეიმო, იშვიათად სცდება დადგენილ ნორმას. თავისი სტრიქონების დიდ ნაწილს იგი უთმობს სახელებს; ამასთან, მისი დიდაქტიკური ხასიათის სენტენციები შეიძლება იყოს სასარგებლო. ჰესიოდე უნდა შეეაქოთ თხრობის სიმსუბუქისა და კომპოზიციის გამო. მას პირველობის პალმის რტო ეკუთვნის საშუალო ტიპის მჭევრმეტყველებაში.

ანტიმაქოსთან, პირიქით, უნდა შეეაქოთ ძალა, სერიოზული ტონი და გამოხატვის საშუალებები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო პროზაულ სიტყვასთან. მართალია, ყველა სწავლული კრიტიკოსი მას მეორე ადგილს ანიჭებს, მაგრამ მასთან მაინც არ არის არც პათოსი, არც კომპოზიცია, საერთოდ, იუველირული დამუშავება, ეს კი გვიჩვენებს, როგორი განსხვავებაა სიტყვებს მეორე და ტოლს შორის...

პანასიდესის შესახებ ამბობენ, რომ თითქმის იგი თავის თავში აერთიანებს ამ ორსავე პოეტს, თუმცა, ვერც ერთს შეედრება და ვერც მეორეს. იგი პირველზე უფრო მაღლა დგას სიუჟეტების შერჩევით, მეორეზე - კომპოზიციით. აპოლონიოსი ვერ შევიდა სიაში, რომელიც შეადგინეს სწავლულმა კრიტიკოსებმა, - არისტარქოსმა და არისტოფანემ. მათ გამორიცხეს ცხრილიდან ყველა თავიანთი თანამედროვე, მაგრამ ჩვენ გვაქვს მისი ნაწარმოები, რომელიც ყურადღებას იმსახურებს, მიუხედავად იმისა, რომ დაწერილია საშუალო სტილით.

არათოსთან თხრობა მოკლებულია სიცოცხლისუნარიანობას; მასში მოსაუბრეთა არც სხვადასხვაობაა, არც ცეცხლი. ის, სხვათა შორის, აკმაყოფილებს იმ ამოცანას, რომელიც მისთვის შესაფერისი იყო. თეოკრიტესი თავისებურადაა საინტერესო, მაგრამ მისი მუზა მხოლოდ სოფლით და მწყემსების ცხოვრებით არის დაკავებული და გაურბის არა მხოლოდ ფორუმებს, არამედ თავად ქალაქებს.

ყოველი მხრიდან მე თითქმის ჩამესმის ხმა ჩემი მკითხველებისა, რომელნიც უამრავი პოეტის სახელს ახსენებენ. ნუთუ, მეკითხებიან, ჰერკულესმა ვერ იპოვა პისანდროსის სახით საკუთარი გმირობების ნიჭიერი მომდერალი? მარკუსი და ვერგილიუსი განა საფუძვლიანად არ ბაძავდნენ ნიკანდროსს? მაშასადამე, ჩვენ გვერდს ავუვლით ევფორიონს? მაგრამ ვერგილიუსს რომ არ დაეფასებინა იგი, არც თავის „ბუკოლიკებში“ მოიხსენიებდა ქალკიდელი

## მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი

---

პოეტის მიერ დაწერილ ლექსებს“....ანუ ჰორაციუსი ტყუილუბრალოდ მიაკუთვნებს ტირტეოსს პირველ ადგილს ჰომეროსის შემდეგ?

რა თქმა უნდა, ყველას აქვს იმდენი ცოდნა ამ ავტორების შესახებ, რომ სულ ცოტა, დროებით მაინც, ბიბლიოთეკიდან მათი ნაწარმოებების ხელნაწერების კატალოგი არ აიღოს და არ მოათავსოს საკუთარ წიგნებს შორის. მაგრამ მეც, ჩემის მხრივ, ვიცი, რომ ვინც არ უნდა გამოვტოვო, ყველა მათგანს, როგორც უკვე აღვნიშნე, ამა თუ იმ სფეროში შეუძლია სარგებლობის მოტანა.

მაგრამ ჩვენ მათ დავუბრუნდებით, როცა საბოლოოდ მოვიკრებთ ძალებს, როგორც ამას ნაწილობრივ ვაკეთებთ მდიდრულ სუფრასთან: ჩვენ მამდარნი ვართ დიდებული კერძებით, და მაინც, გვსიამოვნებს უბრალო საჭმელებიც, სწორედ მრავალფეროვნების გამო.

ახლა შეგვიძლია ავიღოთ ელეგია, რომლის საუკეთესო წარმომადგენელი კალიმაქოსია; მეორე ადგილს, მრავალთა აზრით, ფილეტოსი იკავებს, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ უნდა შევეცადოთ შევიძინოთ ახალი ჩვევა, რომელზედაც ზემოთ ვსაუბრობდი, - ჩვენ უნდა დავკავდეთ მხოლოდ საუკეთესო ავტორების კითხვით, განვავითაროთ გონი და ვისწავლოთ თხრობა არა მხოლოდ წაკითხული წიგნების რაოდენობით, არამედ, უფრორე, მათი ხარისხით. ასე მაგალითად, სამი იამბოგრაფისგან, რომლებიც შევიდნენ არისტარქოსის კატალოგში, Ἔξιδ'-თან მიმართებაში, განსაკუთრებით სასარგებლო იქნება არქილოქოსი.

მისი ენა ენერგიულია, აზრი ძლიერია და ბრწყინვალე თავისი სისხარტითა და ლაკონურობით: მასში ძალიან ბევრია სისხლი და ნერვები; მაგრამ, მაინც, თუ ზოგჯერ იგი თავისი მიმართულების პოეტებს ჩამოუვარდება, კრიტიკოსთა აზრით, ამაში დამნაშავე არა მისი ტალანტი, არამედ მის მიერ სიუჟეტის არჩევა არის.

ცხრა ლირიკოსთაგან უპირველესი ადგილი უჭირავს პინდაროსს, როგორც აზრის დიდებული აღმაფრენით, სენტენციებით, ფიგურებით, რომლებიც გაოცებენ ფორმისა და შინაარსის სიმდიდრით, ასევე, მდინარესავით მჩქეფარე საოცარი ენით, რომლის გამოც ჰორაციუსი მას თვლის აღუმატებელ მწვერვალად, რომლის მიზამცა შეუძლებელია.

სტესიქოროსის დიდ ნიჭიერებაზე მისი ნაწარმოებები თავად საუბრობენ, - ის უმღერის ყველაზე დიდ ომებს და ყველაზე ცნობილ ბელადებს; მისი ლირა წარმატებით ამუშავებს ეპიკურ სიუჟეტებს: თავის გმირებს აიძულებს, იმოქმედონ და ილაპარაკონ მათი მდგომარეობის შესაბამისად. მას რომ ზომიერების გრძნობა ჰქონოდა, აუცილებლად დაიკავებდა ადგილს ჰომეროსის გვერდით; მაგრამ იგი ნაპირებიდან გადმოდის, წყალდიდობას აწყობს. ამისათვის, ის, რა თქმა უნდა, გაკიცხვას იმსახურებს, მაგრამ შეიძლება ადამიანი ნიჭის გამო გაკვირვოთ?

თუ ალკეოსს გადასცემენ „ოქროს მშვილდს“, გადასცემენ სამართლიანად; მისი პოეზიის მიმართულების წყალობით, ერთი მხრივ, - იგი ტირანიის მტერია, და ამავე დროს, ბევრს აკეთებს ზნეობრივი გრძნობის გასაძლიერებლად. მისი ლექსი მოკლეა და კოპწია; მისი ძლიერი ენა ძალიან სქელ რიტორიკულ შეფერილობას ატარებს; მაგრამ მას შეუძლია იხუმროს კიდეც, თუ ეროტიკულ პოეზიაში გადაეშვება, თუმცა უფრო სერიოზული თემები გაცილებით უფრო ხელეწიფება.

სიმონიდესი, ზოგადად, სუსტია, მაგრამ შეიძლება მისი რეკომენდირება ზუსტი და გარკვეულწილად, სასიამოვნო ენის გამო. თუმცა, მისი მთავარი ღირსება იმაშია, რომ იგი აღძრავს თანაგრძნობას, ამიტომ, ამ თვალსაზრისით, ზოგი მას ამ მიმართულების ყველა ავტორზე მაღლა აყენებს.

თითქმის მხოლოდ ძველი კომედია ინახავს ატიკური დიალექტის დახვეწილობას, რომელიც კავშირშია გამოხატვის ეფექტურ არა ცერემონიულობასთან. მახინჯს დასცინო ზნეობრივად - მისი მთავარი ამოცანაა, თუმცა იგი უკიდვანოდ ნიჭიერია სხვა თვალსაზრისითაც - სადღესასწაულოა, დახვეწილი და სასიამოვნო. არ შემოიძლია მივუთითო სხვა, უფრო ახლოს მდგომი ორატორულ ხელოვნებასთან, ან უფრო სასარგებლო მომავალი ორატორის აღზრდისთვის, რა თქმა უნდა, ჰომეროსის პოემების შემდეგ, რომელიც ყოველთვის შედარებების დროს უნდა გამოვრიცხოთ, ისე როგორც მისი აქილეესი.

კომიკოსი ბევრია, მაგრამ მთავარი მაინც არისტოფანე, ევპოლიდესი და კრატინოსია. ტრაგედიის პირველი შემოქმედი იყო ესქილე, დიდებული, სერიოზული, ზოგჯერ სასაცილომდე ზეამაღლებული, მაგრამ უმეტესად, უხეში და დახვეწილი. აი, რატომ მისცეს ათენელებმა გვიანი დროის პოეტებს უფლება, გაესწორებინათ მისი პიესები და გამოსულიყვნენ შეჯიბრებებზე, რისი წყალობითაც ბევრმა მათგანმა ჯილდოც მიიღო.

გაცილებით მეტი პოპულარობა, როგორც ტრაგიკოსებმა, მოიხვეჭეს სოფოკლემ და ევრიპიდემ. დღემდე დავობენ, მათ შორის ვის მიანიჭონ პირველობა პოეზიაში, მით უმეტეს, ორივე მათგანი განსხვავებულ ენას იყენებდა. რა თქმა უნდა, მე ამ საკითხს ღიად დავტოვებ, რადგან ამას არავითარი კავშირი ჩვენს თემასთან არა აქვს. უნდა ვაღიაროთ, რომ ევრიპიდე გაცილებით დიდ სარგებლობას მოუტანს მას, ვინც საჯაროდ გამოსასვლელად ემზადება.

ენითაც - სხვათა შორის, ამას მის ნაკლად თვლიან ისინი, სოფოკლეს ლექსს გაცილებით სერიოზულად და დიდებულად რომ აღიარებენ, - ევრიპიდე უფრო ახლოა ორატორულ ხელოვნებასთან; შემდეგ, მასთან მეტია სენტენციები, თან, იგი მსჯელობს, თითქმის როგორც ფილოსოფოსი იმ საკითხებში, რომლებიც მათგან ისესხა. რაც შეეხება მისი პიესების მოქმედი გმირების კითხვა-პასუხებს, იგი შეიძლება შევადაროთ ფორუმის ნებისმიერი

## მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი

---

გამოჩენილი ორატორის კითხვა-პასუხს. ევრიპიდე შეუდარებელია ვნებათა აღწერისას, მაგრამ განსაკუთრებით - თანაგრძნობის გამოწვევაში.

მენანდროსის სახით მან იპოვა აღფრთოვანებული თაყვანისმცემელი - რაზეც ეს უკანასკნელი არაერთხელ აცხადებს პირადად - და მიმბაძველიც, თუმცა, სხვა მიმართულებით. თუ მენანდროსს ყურადღებით წავიკითხავთ, მას, ჩემი აზრით, ყველაფრის მოცემა შეუძლია, - ისეთი სისავსით დახატა მან ადამიანის ცხოვრების სურათი, ისე ფლობს ენას, რომ შეუძლია ყველაფერს, ყველა ხასიათს, ყველანაირ სულის მოძრაობას თავისი სახელი დაარქვას.

არც ისე ტყუიან ის ადამიანები, რომლებიც მენანდროსს იმ ტექსტების ავტორად თვლიან, რომელთაც მიაწერენ ქარისიუსს, მაგრამ, ჩემი აზრით, თავის კომედიებში იგი ქებას იმსახურებს, ძირითადად, როგორც ორატორი; რად ღირს მარტო სასამართლოს სცენები, რომლებიც გვხვდება კომედიებში: „*Epitrepontes*“, „*Epicleros*“, „*Locroe*“, „*Psophodee*“, „*Nomothete*“ და „*Hypobolimaheus*“ - ისინი სრულად აკმაყოფილებენ რიტორიკის მოთხოვნებს.

სხვათა შორის, ვფიქრობ, რომ ყველაზე მეტად მას სარგებლობის მოტანა შეუძლია დეკლამატორებისთვის, რადგან კონტრავერსიის კანონის თანახმად, მან უნდა გამოიყენოს ბევრი როლი, - მამების და შვილების, ჯარისკაცების და გლეხების, მდიდრების და ღარიბების, გაბრაზებულების და მთხოვნელების, რბილი და მკაცრი ხასიათის ადამიანების. ყველა ამ სახის გადმოცემა პოეტს ძალიან ოსტატურად შეუძლია.

რა თქმა უნდა, მენანდროსმა უკან ჩამოიტოვა ამ მიმართულების ყველა მწერალი, დაჩრდილა ისინი თავისი დიდების ბრწყინვალეობით.

სხვა კომიკოსებს რაც შეეხება, ყველაზე მეტად სარგებლობის მოტანა შეუძლია ფილემონოსს. თანამედროვეები, თავიანთი მდაბიო გემოვნების გამო, ხშირად აძლევდნენ მას უპირატესობას მენანდროსთან შედარებით, მაგრამ მაინც იგი იკავებს მეორე ადგილს მენანდროსის შემდეგ.

ნიჭიერი ისტორიკოსი ძალიან ბევრია, მაგრამ არავინ დაიწყებს მერყეობას, მისცეს ყველა დანარჩენთან შედარებით უპირატესობა ორ მათგანს, ურთიერთსაწინააღმდეგო ღირსებების გამო რომ დაიმსახურეს ქება-დიდება. თუკიდიდესი შეკრულია, ლაკონური და მუდმივად ჩქარობს წინ, ჰეროდოტოსი - სასიამოვნოა, გასაგები და ლაპარაკის მოყვარული; პირველს უკეთ შეუძლია გადმოსცეს სულის ბოხოქარი მოძრაობები, მეორეს - წყნარი ემოციები; ერთს მეტად ხელეწიფება სახალხო კრებების სიტყვები, მეორეს - გაბრაზებული საუბარი; პირველში მეტი ძალაა, მეორეში - მეტი გრაცია.

მათთან ყველაზე ახლოს დგას თეოპომპოსი, მაგრამ როგორც ისტორიკოსი, მათ ჩამორჩება და უფრო ახლოსაა რიტორიკასთან, - სანამ იგი ისტორიით დაინტერესდებოდა, დიდი ხნის განმავლობაში იყო ორატორი. მთელი რიგი კარგი ისტორიკოსებისგან შეიძლება დავასახელოთ ფილისტოსი, რომელიც

ბამავდა თუკიდიდეს. იგი ამ უკანასკნელზე გაცილებით სუსტია, მაგრამ, ამავე დროს, უფრო გასაგები. ეფოროსს, ისოკრატესის აზრით, არ ჰყოფნის ცეცხლი. კლიტარქოსი იმსახურებს ქებას თავისი ნიჭის გამო, მაგრამ მისი ცნობების სანდოობა სათუთა.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სცენაზე გამოდის ტიმაგენესი. არ შეიძლება იგი არ შევაქოთ თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რომ მან ხელახლა აღადგინა ლამის დავიწყებული სიყვარული ისტორიისადმი, და ჰქონდა წარმატება. არ დამვიწყებია არც ქსენოფონი; მაგრამ მას უნდა მივაკუთვნოთ ადგილი ფილოსოფოსებს შორის.

ახლა მოდის ორატორთა დიდი წყება, - მხოლოდ ათენში ერთდროულად 10 მათგანი ცხოვრობდა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი, უდავოდ, უჭირავს დემოსტენეს, რომელიც შეიძლება ითქვას, ორატორის ეტალონია: მასში იმდენი ძალაა, იმდენი კომპაქტურობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისეთი მძლავრი კუნთები, რომ მასთან არაფერია უსაგნო, უსაქმო, დაუსრულებელი ან ზედმეტი.

ესქინესი მასზე მდიდარია, და გეჩვენება, რომ მით უფრო გრანდიოზულია, რაც უფრო ნაკლებია მისი თვალსაწიერი; მაგრამ მასში ბევრი ხორცია და ნაკლები კუნთები. უკიდურესად სასიამოვნო და გონებამახვილურია ჰიპერიდოსი, მაგრამ იგი უკეთესია, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, უფრო სასარგებლოა შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვან პროცესებზე.

მათ შორის უფროსი, ლისიასი - ნათელია და დახვეწილი. თუ ორატორისთვის საკმარისია იცოდეს საქმის არსის გადმოცემა, ის შეუდარებელია, - მასში არაფერია უშინაარსო, უდროო, და მაინც, იგი შეიძლება უფრო შევადაროთ სუფთა წყაროს, ვიდრე დიდ მდინარეს.

ისოკრატესი ლამაზი და დახვეწილია ორატორული მჭევრმეტყველების სხვა სახეობაში, მაგრამ უფრო გამოსადეგია პალესტრასთვის (ჩაკეტილი სკოლებისთვის), ვიდრე ნამდვილი ბრძოლისთვის. მან აითვისა თხრობის სილამაზე და არც თუ ტყუილუბრალოდ, - იგი ემზადებოდა არა სასამართლო დარბაზისთვის, არამედ აუდიტორიისთვის. იგი ადვილად აძლევს ნებისმიერ აზრს შესაბამის ფორმას, უყვარს ყველაფერი წესიერი; რაც შეეხება კომპოზიციას, იგი ისეთი მკაცრია და ფრთხილი აქ, რომ მისი პედანტიზმი ხშირად გამხდარა გაკიცხვის საგანი.

ზემოხსენებული ღირსებები არ არის ერთადერთი იმ ორატორებისთვის, რომლებზეც ვისაუბრე; ჩემი აზრით, ისინი მათთვის მხოლოდ დამახასიათებელია; თავის მხრივ, იყვნენ კიდევ დიდი ორატორები. მე ნიჭიერად ვთვლი დემეტრიოს ფალერელსაც, რომელიც, როგორც ამბობენ, როგორც ორატორი, პირველად გადაუხვევს არჩეულ ჭეშმარიტ გზას, მაგრამ ის თუნდაც იმიტომ უნდა ვახსენოთ, რომ იგი იყო თითქმის უკანასკნელი

## მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი

---

ატიკელ ავტორთაგან, ამ სიტყვის მკაცრი გაგებით. ციცერონი, სხვათა შორის, მას უპირატესობას ანიჭებს ყველას წინაშე მჭევრმეტყველების საშუალო სახეობაში.

იმ ფილოსოფოსთა მეთაური, რომელთა წაკითხვაც ყველაზე უფრო აუცილებელია, თავად მარკუს ტულიუს ციცერონის, როგორც ორატორის აღიარებით, შეიძლება ვინმემ ეჭვი შეიტანოს, რომ არის პლატონი, თავისი დიალექტიკის სიფაქიზით თუ თავისებურად ღვთაებრივი და „ჰომეროსული“ ნიჭის გამო - თამამად და ზუსტად გამოხატოს საკუთარი აზრები? ფილოსოფოსს პროზა, ან როგორც მას ბერძნები ეძახიან, „უბრალო“ მეტყველება, შეუდარებელ სიმადლეზე აჰყავს, შესაბამისად, მე ვთვლი მის ნაწარმოებებს არა ადამიანური ჭკუის, არამედ, გარკვეულწილად, დეოფოსის ორაკულის შთაგონების შედეგად.

მე რა უნდა ვთქვა ქსენოფონის შეუდარებელ დიდებულებაზე, რომლის მიღწევაც არანაირი ხელოვნებით არ შეიძლება? ნამდვილად თავად გრაციები ლაპარაკობდნენ მისი პირით, და ჩვენ უფლებამოსილნი ვართ მივაკუთვნოთ მას სიტყვები, რომელიც ძველმა კომედიამ თქვა პერიკლესზე, - „მის ბაგეებზე თითქოს მჭევრმეტყველების ქალღმერთი ცხოვრობს“.

უნდა ვილაპარაკო თუ არა სოკრატესის სხვა მოსწავლეების ბრწყინვალე თხრობაზე? - მაგალითად, არისტოტელეზე? არ ვიცი, იგი დიდებულია უფრო თავისი შემეცნების მასშტაბებით, უამრავი თხზულებით, ენის სიძლიერით და სილამაზით, თუ გონებამახვილური მიგნებებით, ან კიდევ ნაშრომების სხვადასხვაობით?

თეოფრასტოსს აქვს არაჩვეულებრივი, ბრწყინვალე სტილი. ამბობენ, რომ სწორედ ამის წყალობით მოიპოვა მან სახელი და დიდება.

ძველი სკოლის სტოიკოსები შედარებით ნაკლებად იყვნენ დაკავებული ენის მოქნილობაზე ზრუნვით, მაგრამ ერთის მხრივ, ისინი ატარებდნენ ზნეობრივ იდეებს, ხოლო მეორეს მხრივ, ძალიან ოსტატურები იყვნენ თავიანთი დოგმების გაძლიერებაში, არგუმენტირებასა და მტკიცებულებებში. თუმცა, მათში კამათის სიმწვავე უფროა, ვიდრე თხრობის სილამაზე, რომელსაც ისინი, რა თქმა უნდა, არც ესწრაფოდნენ.

ასეთივე თანმიმდევრობა უნდა დავიცვათ ჩვენ რომაელი ავტორების ჩამოთვლისას. როგორც ბერძენთა სათავეში დავაყენეთ ჰომეროსი, ასევე, ჩვენი ავტორებიც ჯობია დავიწყოთ ვერგილიუსით, რომელიც ბერძენთა და ამ მიმართულების რომაელ ავტორთა შორის, უდავოდ, ყველაზე ახლოსაა ჰომეროსთან.

მე აქ გავიმეორებ იმ ფრაზას, რომელიც ახალგაზრდობისას მოვისმინე დომიციუს აფერისაგან. როცა მას ვკითხე, ვინ იყო ყველაზე ახლოს ჰომეროსთან მისი აზრით, მიპასუხა, რომ მეორე ადგილი ეკავა ვერგილიუსს, მაგრამ უფრო პირველი ადგილისკენ იხრებოდა, ვიდრე - მესამისკენ. ჩვენ თავისი

გამორჩეული ადგილი უნდა მივაკუთვნოთ ზეციური, უკვდავი ჰომეროსის გენიას, მაგრამ თავის მხრივ, ვერგილიუსს აქვს მეტი უკეთ დამუშავებული ადგილი, და არა იმიტომ, რომ იგი უფრო ბეჯითად მუშაობდა. აი, რატომ: რამდენადაც იგი ჰომეროსს ჩამორჩება ბევრი ბრწყინვალე ადგილით, იმდენად, შესაძლოა, იგებს ვერგილიუსი თანაბარ ზომიერი, გაწონასწორებული თხრობით.

ყველა დანარჩენი პოეტი ძალიან შორს დგას ამათგან. შესაძლოა, ემილიუს მაკერი და ლუკრეციუსი უნდა წავიკითხოთ, მაგრამ არა თხრობის, მჭევრმეტყველების სულის, გამოსამუშავებლად. ისინი ორივენი ელეგანტურები არიან თავიანთ თემებზე საუბრისას, მაგრამ ერთი ძალიან უბრალოა, მეორე - ძნელად გასაგებია.

ვაროატაკინუს მასახელი გაითქვამთ თავისი თარგმანებით. ამთვალსაზრისით იგი ძალიან მაღლად დგას, მაგრამ არ არის საკმარისად მდიდარი იმისათვის, რომ ორატორული ნიჭის განვითარებას შეუწყოს ხელი.

ენიუსს პატივი უნდა ვცეთ, როგორც უძველეს წმინდა ჭალებს, სადაც გიგანტური საუკუნოვანი მუხები აღაგზნებენ არა იმდენად ესთეტიკურ გრძნობებს, რამდენადაც რელიგიურს. დანარჩენი პოეტები უფრო ახლოს არიან ვერგილიუსთან და უფრო სასარგებლონიც - ჩვენი ამოცანის შესრულებისათვის. ოვიდიუსი, მართალია, ხუმრობის გარეშე ეპოსსაც კი არ ტოვებს და ზედმეტად დარწმუნებულია საკუთარ ნიჭიერებაში, მაგრამ, ალაგ-ალაგ არ შეიძლება რომ არ შევაქოთ.

კორნელიუს სევერუსი სამართლიანად დაიმსახურებდა მეორე ადგილს ეპიკოსებს შორის, მაგრამ ის უფრო ნიჭიერი ვერსიფიკატორია, ვიდრე პოეტი, იმ შემთხვევაში, თუ დაასრულებდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიცილიის ომის აღწერას თავისი ნაშრომის პირველი წიგნის შესაბამისად.

სერანუსის ნიჭის საბოლოო განვითარებას ხელი შეუშალა მისმა ადრეულმა სიკვდილმა, მაგრამ მისი ახალგაზრდობის დროინდელი ნაწარმოებები არ მიაწიშნებენ ამ ავტორის დიდ ნიჭიერებაზე, და თხრობის, განსაკუთრებით, მის ასაკში, სწორად ჩამოყალიბებისკენ მისწრაფებაზე.

არც ისე დიდი ხნის წინ ბევრი დავკარგეთ ვალერიუს ფლაკუსის სახით. სალუს ბასუსი - დიდი პოეტური ტალანტია, მაგრამ საბოლოოდ ხანდაზმულობის ასაკშიც კი ვერ მომწიფდა. თავისუფალ დროს შეიძლება გავეცნოთ რაბირიუსს და პედონუსს. ლუკანუსი ფიცხია, მხურვალე; მასში ბევრი დიდებული აზრია, მაგრამ ღიად რომ ვთქვათ, მას ორატორებმა უფრო უნდა მიბაძონ, ვიდრე პოეტებმა.

მე დავასრულე ჩემი ჩამონათვალი. ავგუსტუს გერმანიკუსი არ ჩავრთე აქ იმიტომ, რომ უზარმაზარი იმპერიის მართვაზე ზრუნვამ აიძულა ის,

## მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი

---

თითქოსდა არჩეულ საყვარელ საქმიანობაზე უარი ეთქვა; ღმერთები ნაკლებად ზრუნავდნენ, შეექმნათ მისგან საუკეთესოთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი. ამავე დროს, შეიძლება ვიპოვოთ რამე უფრო ამაღლებული, საერთოდ, უფრო სრულყოფილი ყველა თვალსაზრისით, ვიდრე მისი ნაწარმოებებია, ახალგაზრდობის ჟამს დაწერილი ყმაწვილის მიერ, რომელმაც დიდსულოვნად უარი განაცხადა ხელისუფლებაზე? შეეძლო ვინმეს უკეთ ემდერა ომისთვის, ვიდრე მას, ვინც ამ ომებს დიდი ოსტატობით წარმართავდა? ვის მოუსმენდნენ მფარველი ქალღმერთები დიდი ინტერესით მეცადინეობებზე? ვის გაეცნობოდა დიდი ინტერესით მისი ნათესავი მინერვა?

მომავალში ამაზე უფრო დეტალურად ისაუბრებენ, - ახლა მისი, როგორც პოეტის ბრწყინვალეობა გადაფარა მისმა სხვა ნიჭიერებამ. და მაინც, კეისარო, ნება მომეცი, ლიტერატურაზე საუბრისას, დუმილით გვერდი არ ავუარო შენს გენიას, მაგრამ ვერგილიუსის სიტყვებით შემოვიფარგლები: „გამარჯვების დაფნასთან ერთად გარს სუროც გმოსავს“.

ბერძნებს ჩვენ შეგვიძლია ელეგიის სფეროშიც გავეჯიბროთ. მის ყველაზე დიდ წარმომადგენლად მიმაჩნია ტიბულუსი. ზოგიერთები უპირატესობას პროპერციუსს ანიჭებენ. ოვიდიუსი ორივესთან შედარებით უფრო მდიდარია, ისე როგორც გალუსი - სერიოზული. სამაგიეროდ, სატირა მთლიანად ჩვენ გვეკუთვნის. მისი დიდებული წარმომადგენელია ლუკილუსი, რომელსაც დღემდე ისეთი გულმხურვალე თაყვანისმცემლები ჰყავს, რომ ისინი მზად არიან, ლუკილუსს უპირატესობა მიანიჭონ არა მხოლოდ მისი მიმართულების მწერლებთან, არამედ საერთოდ ყველა პოეტთან შედარებით.

მე აქ მათ ვერ ვეთანხმები, ისე როგორც ჰორაციუსს, რომლის აზრითაც, ლუკილუსი ჰგავს „ბლანტ წყაროს, რომელშიც არის რაღაც, რისი მოშორებაც შეიძლებოდა, როგორც უვარგისის“, იმიტომ რომ მას აქვს არაჩვეულებრივი განათლება, უშუალოება და ბრყინვალე გონებამახვილობა.

მასზე გაცილებით დიდებული და სუფთაა ჰორაციუსი; სატირაში მას პირველი ადგილი უკავია, თუ მე მისადმი სიმპათია არ მაღაპარაკებს. არანაკლები ქება დაიმსახურა პერსიუსმა, მიუხედავად იმისა, რომ მან შექმნა სატირების მხოლოდ ერთი ტომი.

ძალიან კარგი ავტორები ამ მიმართულებით ახლაც არიან. ადრე თუ გვიან ისინი იპოვიან თავიანთ შემფასებლებს.

სატირის სხვა სახეობა და ამასთან, უფრო ძველიც, რომელიც არ არის დაფუძნებული მხოლოდ სხვადასხვა სალექსო საზომების გაერთიანებაზე, მხატვრულად დაამუშავა ტერენციუს ვარომ, უდიდესმა რომაელმა სწავლულმა. მან დაწერა არაერთი სამეცნიერო ხასიათის წიგნი. მან ძალიან კარგად იცოდა ლათინური ენა და მთელი ძველი ისტორია, როგორც საბერძნეთის, ისე რომის, მაგრამ ვაროს სარგებლობის მოტანა მაინც უფრო

შეუძლია როგორც სწავლულს ჩვენი ცოდნის სფეროში და არა როგორც ორატორს, მჭევრმეტყველების სფეროში.

იამბი არ დაუმუშავებიათ რომაელებს, როგორც პოეტური ნაწარმოებების განსაკუთრებული სახეობა, მაგრამ ზოგიერთები წერენ იამბით ლექსების კრებულში შერეული სალექსო საზომებით. ამის ნიმუშად გამოდგებიან კატულუსი, ბიბაკულუსი და ჰორაციუსი, თუმცა იამბს აქ ცვლის ხოლმე ეპოდები; მაგრამ ლირიკოსთაგან უნდა წავიკითხოთ მხოლოდ იგივე ჰორაციუსი, - ზოგჯერ იგი მაღლდება შთაგონებამდე, სავსეა სილამაზით და გრაციოზულობით; მას აქვს ფიგურათა მრავალფეროვნება და შესაშური სიტამამე გამოხატვის თავისუფლებაში.

ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია მიამატოს ახლახანს გარდაცვლილი კესიუს ბასუსი; მაგრამ მას თავიანთი ნიჭიერებით შორს მოიტოვებენ თანამედროვეები.

ძველი სკოლის ტრაგიკოსთაგან აქციუსი და პაკუვიუსი შეიძლება ჩაითვალოს საუკეთესოებად აზრის სიღრმით, გამოხატვის ძალით და ხასიათების დიდებულებით. თუ მათ პიესებს აკლია თხრობის სისუფთავე და დამუშავება, მეჩვენება, რომ ამაში ეპოქის მოთხოვნების ბრალი უფროა, ვიდრე თავად მათი. ადამიანებს, ვინც თავს განათლებულ კრიტიკოსებად თვლიან, მაინც მიაჩნიათ აქციუსი უფრო ნიჭიერად; პაკუვიუსთან უფრო სწავლულის გემოვნებას პოულობენ.

მეორეს მხრივ, ვარიუსის თიესტეს შეუძლია ნებისმიერ ბერძნულ ტრაგედიასთან შედარებას გაუმკლავდეს. ოვიდიუსის მედეა აჩვენებს, ჩემი აზრით, რა კარგი მოლოდინი შეიძლებოდა გვექონოდა ამ ავტორთან მიმართებაში, მას რომ საკუთარი გენიის მართვა უკეთ სცოდნოდა, ვიდრე მასთან დაქვემდებარება.

იმათგან, ვისი ნახვაც მე პირადად შემემძლო, პომპონიუს სეკუნდუსი უდავოდ საუკეთესო ტრაგიკოსია. უზუცესები თვლიდნენ, რომ ის არ იყო საკმარისად ტრაგიკული, მაგრამ აღიარებდნენ, რომ მას ჰქონდა ბრწყინვალე ერუდიცია და თხრობის სისუფთავე.

კომედიაში ჩვენ სრულიად მოვიკოჭლებთ. მიუხედავად იმისა, ვარო ამბობს, რომ ელიუს სტილოს მიხედვით, „თუ მუზეები შეთანხმდნებოდნენ ლათინურად ელაპარაკათ, ეს პლავტუსის ენა იქნებოდა“; მიუხედავად იმისა, რომ არაფერი უშლით ძველებს ხელს, მხურვალედ აქონ კეკილიუსი; მიუხედავად იმისა, რომ ტერენციუსის კომედიები მიეწერებოდა სციპიო აფრანუსს (კომედიები, რომლებიც, სხვათა შორის, უკიდურესად დიდებულია და ისარგებლებდნენ კიდევ უფრო მეტი სიყვარულით, თუ დაიწერებოდა ტრიმეტრებით).

ჩვენ მივაღწიეთ ბერძნული ნიმუშების მხოლოდ სუსტ მსგავსებას. ისიც კი მეჩვენება, რომ თავად ლათინურ ენას არ შეუძლია აითვისოს ის

მომხიბვლელობა, რომელიც მხოლოდ ატიკურ დიალექტს უკავშირდება. თავად ბერძნებიც კი ვერ აღწევდნენ ამას, როცა სხვა დიალექტს იყენებდნენ.

Fabula togata-ში საპატო ადგილი უჭირავს აფრანიუსს. მას რომ სცენაზე გეები არ გამოეყვანა, არ გაეშიშვლებინა საკუთარი გადახრები და არ გაეფუჭებინა თავისი პიესები!

სამაგიეროდ, ისტორიის სფეროში ჩვენ ბერძნებს არ ჩამოვრჩებით. მე არ მეშინია დავუპირისპიროთ თუკიდიდეს სალუსტიუსი, ისე როგორც ჰეროდოტოსი არ ითაკილებდა, დამდგარიყო ტიტუს ლივიუსის გვერდით, რომელიც არაჩვეულებრივი მთხრობელი და მჭევრმეტყველია: ძალიან ორგანულადაა კავშირი მის ყველა ფაქტსა და მოქმედ გმირებს შორის. არცერთ ისტორიკოსს არ შეეძლო - უკიდურესად ფრთხილად ვამბობ - უკეთ გადმოეცა ემოციები, განსაკუთრებით - წყნარი.

ასე რომ, მან შეძლო სალუსტიუსის ენის არაჩვეულებრივი სიცინცხლე შეენარჩუნებინა სხვადასხვა ხასიათის ღირსებებით. აი, რატომ ვთვლი ძალიან წარმატებულად სერვილიუს ნონტანუსის ნათქვამს, რომ ისინი უფრო თანაბარნი არიან, ვიდრე მსგავსები. ნონტანუსი, რომელსაც მე პირადად ვუსმენდი, იყო ნათელი გონების ადამიანი, ღრმად მოაზროვნე, მაგრამ უფრო ლაკონური, ვიდრე ამას მოითხოვს ისტორიის სერიოზული საგანი.

ეს უკანასკნელი კარგად გაიგო მასზე ცოტა ხნით ადრე მოღვაწე ბასუს აფფიდიუსმა, ყოველ შემთხვევაში, გერმანიის ომზე შექმნილ წიგნებში. მან, საერთო ჯამში, ქება დაიმსახურა თავისი თხრობისთვის, თუმცა სხვა ნაწარმოებებში თავის ნიჭზე ქვემოთ დგას.

დავგრჩა ვახსენოთ მწერალი, რომელიც დღემდე ცოცხალია, ჩვენი საუკუნის სიამაყე და შთამომავალთა ხსოვნის ღირსია. ახლა ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მივანიშნოთ მასზე, მაგრამ მოგვიანებით დაასახელებენ მის სახელს.

თაყვანისმცემლები ჰყავს და არც თუ უსაფუძვლოდ, კრემუციუსსაც, მაგრამ მას არ ჰყავს მიმბაძველები. მიუხედავად იმისა, რომ მისი თხზულებების შემოკლებამ თავად მას ძალიან ავნო, მაგრამ რაც გადარჩა, იქიდანაც კარგად ჩანს მისი მაღალი აზრი და გამოხატვის სითამამე.

არიან სხვა ნიჭიერი ისტორიკოსებიც; თუმცა ჩვენ სხვადასხვა საკითხავი მასალის მხოლოდ მოკლე მიმოხილვას ვაკეთებთ და არ ვაპირებთ მთელი ბიბლიოთეკის გადახედვას.

თუ ვინმემ რომაული მჭევრმეტყველება ბერძნულის გვერდით დააყენა, ძირითადად, ორატორებმა, - ციცერონს, მაგალითად, მე თამამად დავუპირისპირებ ნებისმიერ ბერძენს. მშვენივრად მესმის, როგორ სიძულვილს ვაღვივებ ჩემს მიმართ, განსაკუთრებით, თუ ამ წუთში, მისი დემოსთენესთან შედარება არ შედის ჩემი ქმნილების ამოცანებში. ჩემი აზრით, დემოსთენესი სხვაზე მეტად უნდა წავიკითხოთ, ან უმჯობესია, ზეპირად ვისწავლოთ.

მეჩვენება, რომ მათ ბევრი რამ საერთო აქვთ - ჭკუა, გეგმა, ნაწილებად დაყოფის სისტემა, შესავალი და მტკიცებულებები, აუდიტორიის მომზადება, მოკლედ, ყველაფერი, რაც ეხება გამომგონებლობას. მათი სტილი რამდენიმე რამით განსხვავდება ერთმანეთისგან: დემოსტენესი უფრო კომპაქტური და ლაკონურია, ციცერონი - სიტყვაუხვი; დემოსტენესი უფრო საქმესთან ახლოს კამათობს, ციცერონი - უფრო დიდი გაქანებით; დემოსტენესი ყოველთვის იბრძვის განსჯის იარაღით ხელში, ხოლო ციცერონი - ხშირად და მთელი სერიოზულობით; დემოსტენესს ვერაფერს გამოაკლებს, ციცერონს - ვერაფერს მიუმატებს; დემოსტენესთან დიდი მონდომება სჩანს, ციცერონთან - ნამდვილი ტალანტი.

სიცილთან და თანაგრძნობასთან, ორ ყველაზე მთავარ აფექტთან მიმართებაში, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ ორატორზე, ჩვენ ბერძნებზე მაღლა ვდგავართ. შესაძლოა, ათენში დადგენილი წესის გამო, დემოსტენესთან ვერ ვხვდებით პათეტიკურ ლაპარაკს, მაგრამ, მეორეს მხრივ, ლათინურ და ბერძნულ ენებს შორის სხვაობა არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ჩვენც სრულად შევიგრძნოთ ის თვისებები და ღირსებები, რომლებმაც ბერძენთა გაკვირვება და აღფრთოვანება დაიმსახურა. რაც შეეხება წერილებს, რომლებიც დემოსტენესგან და ციცერონისგან დაგვრჩა, ან დიალოგებს, რომელთაც პირველი სულაც არ წერდა, - აქ შედარება არ შეიძლება.

უნდა შევთანხმდეთ, რომ დემოსტენესი ცხოვრობდა უფრო ადრე და მან ბევრი რამით შეუწყო ხელი ციცერონს, ყოფილიყო ისეთი, როგორიც არის. მგონია, რომ მ. ტულიუს ციცერონმა, როგორც ყოველივე ბერძნულის მხურვალე მხარდამჭერმა, ისწავლა დემოსტენესის ძალა, პლატონის ენის სიმდიდრე და ისოკრატესის გრაცია.

ამასთან, მან არა მხოლოდ შეისწავლა ყველა მათგანში საუკეთესო, არამედ თვითონ აჩვენა უმრავლესი, ან უფრო სწორად, ყველა საუკეთესო მხარე უკვდავი გენიებისა. პინდაროსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ის იკრებს „არა წვიმის წყალს, არამედ მოედინება, როგორც მოზუყბუყე სწრაფი მდინარე“. განგებამ იგი გამოაგზავნა დედამიწაზე, რათა მის სახეში განსხეულებულიყო მჭევრმეტყველების მთელი სიმდიდრე.

ვის შეუძლია უფრო ოსტატურად გადმოსცეს საქმე და უფრო ძლიერ გულს შეეხოს? ჰქონდა ვინმეს ოდესმე ამდენი გრაცია? მაშინაც კი, როცა იგი დაჟინებით მოითხოვს, გგონია, რომ გთხოვს; როცა იგი მთელი ძალით ექაჩება თავისკენ დაბნეულ მოსამართლეს, გეჩვენება, რომ ეს კი არ ექაჩება, არამედ ის თავად მიჰყვება ნებაყოფლობით.

შემდეგ, თითოეული მისი სიტყვა ისეთი დამაჯერებელია, რომ გრცხვენია, არ დაუჯერო; მასში ხედავ არა კეთილსინდისიერ ადვოკატს, არამედ მოწმეს, ან მოსამართლეს, რომელიც ნდობას იმსახურებს, - ამავე დროს, ყველაფერი,

## მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი

---

რაც შეიძლება სხვამ ძლივს გაიგოს ცალ-ცალკე, მოედინება ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე; ამასთან, მეტყველება, რომელზე უკეთესიც არავის არასდროს უნახავს, გაცეხს თავისი უბრალოებით.

აი, რატომ ეძახდნენ მას თანამედროვენი, არცთუ უსაფუძვლოდ, „სასამართლოების მეფეს“, ასე რომ, მას შემდეგ ციცერონის სახელი ცოცხალი ადამიანიდან გადავიდა თავად მჭევრმეტყველებაზე. მივაქციოთ მას ყურადღება! დაე, ჩვენთვის იგი იდეალი იყოს! ვინც ციცერონს გულმხურვალედ შეიყვარებს, იცოდეს, რომ მან გადადგა ნაბიჯი მჭევრმეტყველების შესწავლისაკენ.

ასინიუს პოლიოსთან გვხვდება ბევრი საზრიანობა, შესანიშნავი დამუშავება, - რის შემდეგაც ზოგს იგი ზედმეტად ეჩვენება, - საკმარისია სიმეტრია და ფანტაზია; მაგრამ მასთან ცოტაა ენის სიწმინდე, გრაცია ციცერონისა, რომელიც მასზე მთელი ასი წლით ადრე ცხოვრობდა. სამაგიეროდ, გასაგებად მარტივი და დახვეწილი მესალა აჩვენებს თავის კეთილშობილურ სულს, მაგრამ მასში ნაკლებია ძალა.

აი, გაიუს კეისარი კი ჩვენს ორატორთაგან ყველაზე მეტად შეიძლებოდა ყოფილიყო ციცერონის კონკურენტი, თუ მხოლოდ იურიდიულ პრაქტიკას დაუთმობდა დროს, - მასში იმდენი ძალა, მახვილგონიერება, ცეცხლია, რომ ცხადია, იგი ისეთივე შთაგონებით საუბრობდა, როგორც იბრძოდა. და ეს ყველაფერი მორთულია უნაკლო თხრობით, რომელზეც იგი დიდი მონდომებით მუშაობდა.

ბევრი ჭკუა და განსაკუთრებით, ბევრი სიმწვავე, როგორც მბრალდებელს, აქვს კელიუსს, რომელმაც დაიმსახურა საუკეთესო ხასიათი და უფრო ხანგრძლივი ცხოვრება.

მე ვიცნობდი ადამიანებს, რომლებიც ყველას ამჯობინებდნენ კალვუსს, ისეთებსაც, ციცერონის აზრს რომ იზიარებდნენ, რომ მან დაკარგა თავისი სიციცხლე საკუთარი თავისადმი ზედმეტი სიმკაცრით. და მაინც, მისი სტილი სადღესასწაულოა, სერიოზული, თავშეკავებული და ხშირად ეფექტური კი. ის ბაძავდა ატიკურ სკოლას. იგი, შესაძლოა, აპირებდა წინ წასვლას და განვითარებას, მაგრამ ნაადრევმა სიკვდილმა ხელი შეუშალა.

სერვიუს სულპიცეუსმა სრულიად სამართლიანად მოიხვეჭა სახელი თავისი სამი სიტყვით.

ბევრ მისაბამს ვნახავთ კასიუს სევერუსის კითხვისას. მას რომ ბევრ საკუთარ ღირსებასთან გაერთიანებინა კიდევ თავის სიტყვებში შესაბამისი შეფერილობა და სერიოზულობა, შეიძლებოდა ყველაზე ცნობილ ორატორებს შორის მოგვეთავსებინა, - მასში უკიდევანო გონიერება, შესანიშნავი ბასრი ენა, დიდებულება და შთაგონება; მაგრამ იგი ხშირად მოქმედებდა უფრო საკუთარი გაბოროტების ზეგავლენით, ვიდრე გონიერი განსჯით. ამას გარდა, თუ ხუმრობა და სიმწარე, ხშირად ეს სიმწარე მხოლოდ ღიმილს იწვევს.

კიდევ ბევრი სხვა ნიჭიერი ორატორია. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. იმათგან, ვისაც მე პირადად ვიცნობდი, დომიციუს აფერი და იულიუს აფრიკანუსი ჯობია ყველას. პირველს უპირატესობა აქვს თავისი ტექნიკით და სტილის საერთო ხასიათით; იგი თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ ორატორთა ძველ სკოლას. მეორე უფრო ცოცხალია, მაგრამ პედანტური გამოთქმების შერჩევისას, ზოგჯერ ზედმეტად გრძელი კომპოზიციები აქვს და ზედმეტად იყენებს მეტაფორებს.

განსაკუთრებული ტალანტები გვყავდა არც თუ დიდი ხნის წინ, მაგალითად, ტრაქალუსი. უმეტეს შემთხვევაში იგი საზეიმოა, საკმაოდ გასაგები; მასში ჩანს სურვილი, მიზამოს საუკეთესოებს, მაგრამ იგი მოსასმენად უფრო კარგი იყო: ეს იყო ყველაზე სასიამოვნო ხმა, რომელიც კი გამიგონია. მისი წარმოთქმა და გარეგნობა სცენაზე კი გამოდგებოდა. საერთოდ, მთელი მისი გარეგნობა რაღაც მთლიანის და დასრულებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ვიბიუს კრისპუსი გასაგებია, სასიამოვნო, თითქოს გარკვეული ესთეტიკური გრძნობების გამომწვევი, მიუხედავად ამისა, იგი უფრო კერძო საქმეებში გამოდგებდა, ვიდრე სახალხოში; სამოქალაქო საქმეებში უფრო ბრწყინავდა, ვიდრე კრიმინალურში.

იულიუს სეკუნდუსი ადრე რომ არ მომკვდარიყო, უდავოდ დატოვებდა შთამომავლობაში ერთ-ერთი საუკეთესო ორატორის სახელს: თავის მრავალრიცხოვან კარგ მხარეს მიამატებდა - ისედაც ყოველთვის უმატებდა - იმას, რაც აკლდა, მაგალითად, საქმისათვის უკეთესად მოემზადებოდა, უფრო შინაარსს მიაქცევდა ყურადღებას და არა ფორმას.

მიუხედავად იმისა, რომ იგი ადრე გარდაიცვალა, მაინც იმსახურებს საპატიო ადგილს, - მასში იმდენია გულწრფელი მჭევრმეტყველება, ცოდნა - სწორად გამოხატოს ის, რისი თქმაც სურს, იმდენი სინათლე, გრაციოზულობა და სილამაზეა მის სტილში, ისეთი ოსტატობაა - დაარქვას ყველაფერს თავისი სახელი, იმდენი ძალაა, ზოგიერთ მკვეთრ გამოთქმებშიც კი!

ავტორები, რომელთაც მოუწევთ ჩემს შემდეგ წერონ ორატორულ ხელოვნებაზე, იპოვნიან მასალას, სამართლიანი ქება შეასხან ჩვენს თანამედროვე ორატორებსაც, დიდებული ტალანტები, რომლებიც ღირსეულად არიან დაკავებული იურიდიული პრაქტიკით, ჩვენს დროშიც მოიძებნებიან. უკვე წარმატებული ადვოკატები ცდილობენ, დადგენ ძველი სკოლის წარმომადგენლების სიმადლეზე და თვითონვე პოულობენ საუკეთესო მიმზადებლებს და თაყვანისმცემლებს ახალგაზრდობის სახით.

გვრჩება ვთქვათ ფილოსოფოსებზე. დღემდე ამ მიმართულებით რომაულმა ლიტერატურამ ძალიან ცოტა კარგი სტილისტი მოგვცა. იგივე მ. ტულიუს ციცერონი აქაც, ისევე როგორც ყველგან, ბავშვს პლატონს. ძალიან კარგია, გაცილებით უკეთესი, ვიდრე თავის სიტყვებში, - ბრუტუსი.

## მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი

---

მის შინაარსს აქვს შესაბამისი ფორმა; გრძნობ, რომ იგი განიცდის, რაზეც ლაპარაკობს.

კორნელიუს ცელსიუსმა დაგვიტოვა მთელი რიგი ნაწარმოებებისა, სადაც იგი სექსტუსების სკოლის მიმდევრად გვევლინება. ვერ უარვყოფთ, რომ მას აქვს გულმოდგინედ დამუშავებული სტილი და სიცხადე.

პლავტუსი შეიძლება გამოგვადგეს სტოიკოსების ფილოსოფიის გასაცნობად. ეპიკურეელთა შორის კატიუსი - მეორეხარისხოვანი, მაგრამ საკმაოდ სასიამოვნო ავტორია.

როცა სხვადასხვა სახის მჭევრმეტყველება ჩამოვთვალე, შეგნებულად არაფერი ვთქვი სენეკაზე. შედეგად, გამივრცელეს ხმა, თითქმის მე მასზე უარყოფითი აზრის ვარ და მისი პირადი მტერიც კი ვიყავი. ამ ჭორებს იმიტომ მივრცელებენ, რომ მინდა, ჩვენი არტისტული და ათასგვარი სიმრუდით დასახიჩრებული სტილი მივმართო უფრო მკაცრი გემოვნების მქონე მოთხოვნებისადმი. ახალგაზრდობა კი მაშინ მხოლოდ სწორედ სენეკას კითხულობდა.

მე არ ვფიქრობდი, იგი სრულიად განმედეგნა საკითხავი მასალიდან, მაგრამ არც ის მსურდა, იმ სხვა, უფრო ნიჭიერ ავტორებთან შედარებით მიმეცა უპირატესობა, რომელთაც იგი განუწყვეტლივ თავს ესხმოდა<sup>81</sup>, ხედავდა რა განსხვავებას მისსა და იმ ავტორების სტილს შორის, და ხვდებოდა რა, რომ ვისაც ამ ავტორების სტილი მოსწონდათ, მათთვის მისი სტილი არც ისე მისაღები იქნებოდა. მოკლედ, ის უფრო უყვარდათ, ვიდრე მას ბაძავდნენ და იმდენადვე შორდებოდნენ მას, როგორც თავად იყო დაშორებული ძველ სკოლას.

ვისურვებდი, რომ ისინი მას გათანაბრებოდნენ, ან ოდნავ მაინც მიახლოვებოდნენ; მაგრამ მათ მისი მხოლოდ ცუდი მხარეები მოსწონდათ; ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ მისგან მაგალითი სწორედ ამ თვალსაზრისით აეღოთ. თუ ამის შემდეგ ვინმე იკვებნიდა, რომ სენეკას სტილით წერდა, მხოლოდ ამცირებდა მას. მაგრამ მას ჰქონდა ძალიან ბევრი ღირსება, - შესანიშნავი შემოქმედებითი ნიჭი, ერუდიცია, საგნის ღრმა ცოდნა, ამასთან, იგი ხშირად მოტყუილებული რჩებოდა იმათგან, ვისაც ავალებდა, ჩაეტარებინათ კვლევა ცოდნის ამა თუ იმ სფეროში. იგი ამუშავებდა ყველა სახის ლიტერატურულ ნაწარმოებს, - მისგან დაგვრჩა სიტყვები, ლექსები, წერილები და დიალოგები. როგორც ფილოსოფოსი, არასაკმარისად ჩაფიქრებულია, მაგრამ მანკიერებათა მხილების როლში - შეუდარებელია. მას უამრავი შესანიშნავი სენტენცია აქვს; ბევრი რამის წაკითხვა შეიძლება მასთან ზნეობრივი თვალსაზრისით, მაგრამ როგორც სტილისტი, იგი ხშირად არასწორია, - და რაც ყველაზე უფრო არასწორია - მისი ნაკლი დაფარულია ლამაზი გარეგნობით.

შეიძლებოდა გვესურვა, რომ მას უფრო მეტი გემოვნებით გამოეხატა

თავისი ბრწყინვალე აზრები, - მას რომ ყურადღება არ გაემახვილებინა ერთზე და არ გამოკიდებოდა იმას, რაც ნაკლებ სასარგებლოა; შეყვარებული რომ არ ყოფილიყო ყველაფერ საკუთარზე; რომ არ გაეფუჭებინა სერიოზული შინაარსი უმოკლესი სენტენციების ფორმის მიცემით, - იგი იპოვიდა თავყვანისმცემლებს უფრო კომპეტენტური კრიტიკოსების, ვიდრე მისით გატაცებული პატარა ბიჭუნების სახით.

მიუხედავად ამისა, სენეკას რეკომენდაცია წასაკითხავად მაინც უნდა გავუწიოთ მომწიფებული ადამიანებისთვის, რომელთაც უკვე საკმარისად აითვისეს უფრო მკაცრი სტილი, თუნდაც იმიტომ, რომ მას შეუძლია იყოს ღირსებების და ნაკლის საუკეთესო ნიმუში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, მასში ბევრი რამე ქებას იმსახურებს, ბევრი რამე არ შეიძლება არ გაგვიკვირდეს; მხოლოდ საჭიროა შერჩევისას ვიყოთ ფრთხილად, რაც, სამწუხაროდ, თავად მან არ გააკეთა, - მისი ნიჭი, რომელსაც ყველაფრის მიღწევა შეეძლო, იმსახურებდა მიმართული ყოფილიყო უკეთესისაკენ.